შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა

3 დეკემბერი, 2021 წელი[1]

## კომისიის სხდომის ოქმი

<u>კომისიის სხდომის თავმჯდომარე:</u> ნიკო თათულაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარე

<u>კომისიის სხდომის მდივანი:</u> გულიკო მაჭარაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი;

<u>დანართები:</u>

დანართი N1. სხდომის დღის წესრიგი;

დანართი N2. დამსწრე პირთა სია.

[1] სხდომა ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, **ნიკო თათულაშვილმა,** რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სპიკერებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, კომიტეტის წევრებს და მადლობა გადაუხადა ინტერესისა და სხდომაზე დასწრებისთვის. კომიტეტის თავმჯდომარემ მოკლედ მიმოიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაციას. მისი თქმით, სწორედ გაეროს კონვენცია, ჯერ კიდევ 2014 წლიდან ადგენდა ვალდებულებას სახელმწიფოსთვის, რომ შექმნილიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი მექანიზმი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩართულობით, სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით და შშმ თემთან კონსულტაციების შედეგად, 2021 წლის ნოემბრის თვეში შეიქმნა აღნიშნული კომიტეტი. მომხსენებელმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა დამსწრე წევრებს და სიტყვა გადასცა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** შესავალ სიტყვაში მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილე კომიტეტის წევრებს, სახელმწიფო უწყებების, პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ყველასთვის თანასწორ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება, ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ქვეყნისა და საზოგადოების წინსვლა გულისხმობს მისი თითოეული მოქალაქის სრულფასოვან მონაწილეობას განვითარების პროცესებში. პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაციაზე და მიმოიხილა საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. გამოსვლის დასასრულს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აგრძელებს კოორდინირებულ საქმიანობას არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომლის დროსაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ყურადღება დაეთმობა სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის აქტიურ მუშაობას.

აღნიშნულის შემდეგ, სიტყვა გადაეცა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, **მიხეილ სარჯველაძეს,** რომელმაც სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო პარტნიორებს, არასამთავრობო სექტორს, შშმ პირებს მადლობით მიმართა. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩართულობასა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერის მნიშვნელობას. მისი თქმით, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა სახელმწიფოებრივად პრიორიტეტული საკითხია, სადაც თავად შშმ პირთა ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველო შეუერთდა იმ სახელმწიფოთა რიგს, რომელთაც შშმ პირთა უფლებების დაცვის

მექანიზმები სრულფასოვნად აქვთ მორგებული საერთაშორისო სტანდარტებთან. გამოსვლის ბოლოს, მიხეილ სარჯველაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კოორდინირებული საქმიანობის მნიშვნელობას და გამოთქვა სრული მზადყოფნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სახელით, რომ გაგრძელდება კანონის შესრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტი სრულად იქნება ჩართული საერთო ძალისხმევაში შშმ პირთა უფლებების დასაცავად.

სიტყვა გადაეცა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, **რატი იონათამიშვილს,** რომელიც მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, კომიტეტის წევრებს, ევროკავშირის ელჩს, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, ადგილობრივ ორგანიზაციებს და შშმ თემს. შესავალ სიტყვაში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომიტეტის შექმნა მნიშვნელოვნად დაეხმარება სახელმწიფოს შშმ პირთა უფლებების დაცვის გაძლიერების პროცესში. კომიტეტის ფარგლებში უფრო ღიად იქნება შესაძლებელი იმ გამოწვევებსა და ვალდებულებებზე საუბარი, რომელიც უკავშირდება შშმ პირთა უფლებებს. მომხსენებლის თქმით, ბოლო წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, მათ შორის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, კანონის მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც იქნება სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების პლატფორმა და სადაც მრავალმხრივ დაეთმობა ყურადღება შშმ პირთა საჭიროებებს.

სიტყვა გადაეცა ევროკავშირის ელჩს საქართველოში, **კარლ ჰარცელს,** რომელმაც მოკლედ მიმოიხილა სახელმწიფოს მიერ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად გადადგმული ნაბიჯები შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. მისი თქმით, გასულ წლებში ქვეყანამ საკმაოდ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა შშმ პირთა უფლებების სტანდარტის ასამაღლებლად, რომელთა შორისაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს შშმ პირთა შესახებ კანონის მიღება, დამატებითი ოქმის რატიფიცირება, თუმცაღა კომიტეტის შექმნა განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს. ევროკავშირი, გაეროს სააგენტოებთან ერთად აქტიურად უჭერდა მხარს და კვლავ დაუჭერს მხარს სახელმწიფოს და მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტმა განაგრძოს მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. ევროკავშირი განსაკუთრებით დაუჭერს მხარს კონვენციის დევიზის აღსრულებას „არაფერი ჩვენს შესახებ, ჩვენს გარეშე“ და შესაბამისად, მიესალმება შშმ თემის ჩართულობას კომიტეტის მუშაობაში.

სიტყვა გადაეცა გაეროს მუდმივ კოორდინატორს საქართველოში, **საბინე მახლს,** რომელმაც აღნიშნა, რომ შშმ პირთა უფლებების დაცვა გულისხმობს მათი უფლების დაცვას განუხრელად ყველა სფეროში, რაც თავის მხრივ, მოიცავს ცნობიერების ამაღლებაზე აქტიურ მუშაობასაც. მომხსენებლის თქმით, უწყებათაშორისი კომიტეტი წარმოადგენს სწორედ ასეთ პლატფორმას, რომლის ყოველდღიური საზრუნავი გახდება უკეთესი, ინკლუზიური მომავლის შენება და კონვენციის აღსრულების ხელშეწყობა. მან კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას კომიტეტის შექმნა და იმედი გამოთქვა, რომ კომიტეტი აქტიურად განაგრძნობს მუშაობას.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელმა საქართველოში, **ნიკ ბენესფორდმა,** შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა გულითადად მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ, უშუალოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩართულობით

დამტკიცებულ უწყებათაშორისი კომიტეტის არსებობას. მისი თქმით, ინკლუზიაზე ზრუნვა და ყოველმხრივ განვითარება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მიზანს, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენ თითოეულ ადამიანში უნდა დავინახოთ შესაძლებლობები და ვუზრუნველყოთ თანასწორობა. მისი თქმით, საკმაოდ ბევრია გამოწვევა, თუმცა მისასალმებელია სახელმწიფოს ერთიანი მიზანი, განავითაროს შშმ პირთა დაცვის გარანტიები. გამოსვლის ბოლოს, მომხსენებელმა გამოთქვა სრული მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მისალმების პანელის შემდეგ, შშმ პირთა სოციალური მომსახურებების განვითარებაზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ, სიტყვა გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, **თამარ ბარკალაიას.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს არის პირველი შეხვედრა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა, რადგან ასეთი პოლიტიკური მხარდაჭერა და დღის წესრიგში ასეთ მაღალ დონეზე შშმ საკითხების წამოჭრა, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის საფუძველს იძლევა. მისი თქმით, წინა წლებთან შედარებით, მართალია პროგრესი სახეზეა, თუმცაღა არსებობს გამოწვევებიც, რომელთა გადაჭრაზეც აქტიურად უნდა იმუშაოს სახელმწიფომ. კომიტეტი ნამდვილად არის მნიშვნელოვანი დამატებითი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო იზრუნებს იმ სერვისების გაუმჯობესებაზე, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს შშმ პირებს. მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა ზრუნვის პროგრამაზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროგრამაა და რომლის ბიუჯეტიც წლიდან წლამდე იზრდება - 2022 წელს კი ზრდამ 12 მილიონი შეადგინა. აღნიშნულ პროგრამაზე საუბრის შემდეგ, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა დეინსტიტუციონალიზაციის საკითხზე და აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. მომხსენებელი შეეხო სოციალური გასაცემელის საკითხსაც და აღნიშნა რომ მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების შემთხვევაში, სოციალური პაკეტი იზრდება 25 ლარით. სამინისტროს სახელით, მომხსენებელმა გამოთქვა სრული მზაობა, რომ აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა როგორც საქართველოს პარლამენტთან, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას უფრო სიცოცხლისუნარიანი მექანიზმი სოციალური გასაცემელის ზრდის და ასაკობრივი პენსიის მსგავსად, ინდექსაცია შეეხოს შშმ პირებისთვის გასაცემელ პენსიასაც. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მომხსენებელმა ისაუბრა შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობაზე და აღნიშნა, რომ ამ კუთხით სამინისტრო აქტიურად აგრძელებს მუშაობას. მომხსენებელმა ასევე მიმოიხილა სოციალური მოდელის და ფუნქციური შეფასების დანერგვის საკითხი და აღნიშნა რომ, სწორედ ეს კომიტეტი იქნება მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ მოდელმა წარმატებით შეძლოს ფუნქციონირება.

სიტყვა გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, **მზია გიორგობიანს,** რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმართულებით მუნიციპალიტეტების ვალდებულებებზე ისაუბრა. უპირველესად, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის განმავლობაში ყველა მუნიციპალიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული სამოქმედო გეგმები, სადაც სამწუხაროდ დროის შემჭიდროებული ვადების შესაბამისად ვერ მოხერხდა შშმ თემის ჩართულობა. მომხსენებლის თქმით, ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალური სერვისების დაფინანსების ოდენობა და ასევე არის ზრდა სერვისების რაოდენობასთან მიმართებითაც, თუმცაღა

მნიშვნელოვანია რომ მოხერხდეს გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებთან მიმართებით. მისი თქმით, არაერთი მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ერთად ახორციელებენ შშმ პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მინისტრის მოადგილემ ისაუბრა მისაწვდომობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია შენობა-ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის დაწყება და განხორციელება, რასაც ყურადღება შემდგომი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაეთმობა. მომხსენებლის თქმით, მუნიციპალიტეტები ასევე მუშაობენ მათი ვებ-გვერდების ადაპტირების კუთხით, რაც საშუალებას მისცემს შშმ პირებს, რომ უკეთ გაეცნონ მათ საქმიანობას. ასევე, დაწყებულია მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირთა შესახებ საქართველოს კანონის და გაეროს კონვენციის ვალდებულებების შესახებ. მომხსენებლის თქმით, უწყებათაშორისი კომიტეტის ფორმატით შესაძლებელი იქნება, რომ მუნიციპალიტეტებს შორის გაზიარდეს საუკეთესო პრაქტიკა და კარგი გამოცდილება.

სიტყვა გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილეს, **ეკატერინე დგებუაძეს,** რომელმაც ინკლუზიური განათლების შესახებ ისაუბრა. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ განათლების სისტემა საქართველოში რამდენიმე მიმართულებით ვითარდება, რომელთა შორისაც განათლების მისაწვდომობას და განათლების ხარისხს დიდი ყურადღება ექცევა. მომხსენებელმა განმარტა, რომ 2005 წელს დაიწყო განათლების სამინისტრომ ინკლუზიურ განათლების განვითარებაზე მუშაობა და უშუალოდ 2021 წელს ამ მიმართულების სისტემური განვითარება დაიწყო. მისი თქმით, დღეისათვის 10365 საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა. რომელიც ირიცხება საჯარო სკოლებში და მათთვის უფრო მისაწვდომი გახდა განათლება. ასევე მოქმედებს მულტი-დისციპლინური ჯგუფი, რომელიც აფასებს დიდი პასუხისმგებლობით და ადგენს მათ საგანმანათლებლო საჭიროებებს, გასცემს რეკომენდაციებს როგორც მშობლებისთვის ისე სკოლებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს განათლების უფლება. მნიშვნელოვანია დაფინანსების მოდელზე საუბარი, ვინაიდან განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისთვის, 2021 წლის შემოდგომიდან დაფინანსება გაიზარდა და მოსწავლეთა რაოდენობასთან ერთად, იზრდება დაფინანსების საკითხიც, ვინაიდან მოსწავლეებისთვის არამარტო სპეციალური მასწავლებელია საჭირო, არამედ სხვა სპეციალისტების დახმარებაც აუცილებელია. მომხსენებელი შეეხო საკანონმდებლო ცვლილებებსაც და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ბაზა გაცილებით მოწესრიგებულია. სისტემაში გაჩნდა მასწავლებლის კიდევ ერთი ტიპი - სპეციალური მასწავლებელი, რომლის განვითარებაზეც აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს. აღსანიშნავია, რომ დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის სახელმწიფომ განაგრძოს ზრუნვა. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2013 წლიდან ინკლუზიური განათლების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს და დღეის მონაცემებით, 350 შშმ პირი იღებს პროფესიულ განათლებაში განათლებას, რომლის დროსაც თითოეული პირი უზრუნველყოფილია დამატებითი სპეციალისტით, როგორც სმენის მიმართულებით ჟესტური ენის თარჯიმნით, ისე პერსონალური ასისტენტით და შესაბამისი სპეციალისტით. მომხსენებელმა გამოთქვა იმედი, რომ სხვა საკითხებთან ერთად, უწყებათაშორისი კომიტეტი აქტიურად იმუშავებს უმაღლესი განათლების მიმართულებითაც.

სიტყვა გადაეცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორის მოადგილეს **პაატა შავიშვილს,** რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკის შესახებ ისაუბრა. მომხსენებლის თქმით, შშმ პირთა სტატისტიკა ხელმისაწვდომია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, რომელიც სრულად ეფუძნება ვაშინგტონ ჯგუფის რეკომენდაციებს, ასევე სტატისტიკა ხელმისაწვდომია 2018 წელს ჩატარებული მულტი-კლასტერული ინდიკატორული გამოკლევების საფუძველზე, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად მოიცავს შშმ ბავშვთა შესახებ ინფორმაციას და 18 წლიდან 49 წლის ასაკამდე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებს. გარდა ამისა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტის ადაპტირება ხორციელდება შშმ პირებისთვისაც, რათა მათთვის სრულად იყოს ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაცია. მისი თქმით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გააგრძელებს შშმ პირთა შესახებ სტატისტიკაზე მუშაობას. 2022 წლის გაიწერება ახალი ინდიკატორი, რომელიც მათ შორის მოიცავს შშმ მოსწავლეთა რიცხოვნობის მიმართულებას, რეგიონულ ჭრილს, სწავლების შეწყვეტას, კლასების გადანაწილებას და სხვა.

სიტყვა გადაეცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, **ნინო ვალიკოვს,** რომელმაც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UN CRPD) განხორციელების მონიტორინგის მექანიზმზე ისაუბრა. უპირველესად, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკოორდინაციო უწყებათაშორისი კომიტეტის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ამ პროცესში უდიდეს დატვირთვას ატარებს თავად შშმ თემის ჩართულობის უზრუნველყოფა. მომხსენებელმა მიმოიხილა სახალხო დამცველის აპარატის ქვეშ არსებული მონიტორინგის მექანიზმი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე დეპარტამენტს. მომხსენებელმა სახალხო დამცველის აპარატის სახელით, დაუდასტურა მზაობა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ აქტიურად ჩაერთვება კომიტეტის საქმიანობაში, სადაც საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებითა და ერთობლივი ძალისხმევით, ხელი შეეწყობა შშმ პირთა უფლებების დაცვას.

სიტყვა გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს, **სიმონ პეტრიდისს,** რომელმაც აღნიშნა, რომ კომიტეტის შექმნა ახალი გამოცდილების შეგროვებისა და გაზიარების მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს. მისი თქმით, კომიტეტი ერთი მხრივ, უწყებებს მისცემს საშუალებას, რომ აქტიური კოორდინაციით, სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილებები, ხოლო, მეორე მხრივ, შშმ პირებს მისცემს საშუალებას, რომ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. კომიტეტის საქმიანობა მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ სახელმწიფო უწყებები ყოველდღიური კოორდინაციით, შშმ პირებთან კონსულტაციის გზით, უკეთ შეძლებენ გამოკვეთონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიზნობრიობა და მნიშვნელობა.

სიტყვა გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სპეციალისტს, **გულიკო მაჭარაშვილს,** რომელმაც საკოორდინაციო კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს შექმნის პროცესსა და თემატური სამუშაო ჯგუფების შესახებ ისაუბრა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომიტეტის საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, შშმ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციათა და შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციათა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტთან იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობას უწყებათაშორისი კომიტეტის შემადგენლობაში. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა წევრების შერჩევის პროცედურასა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობაზე. მოხსენების ბოლოს,

გულიკო მაჭარაშვილმა ყურადღება გაამახვილა თემატური სამუშაო ჯგუფის დანიშნულებაზე, უფლებამოსილებებზე, შემადგენლობასა და მუშაობის სტრუქტურაზე.

აღნიშნულის შემდგომ გაიხსნა დისკუსიის პანელი, სადაც კითხვები დასვეს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა. სხდომის დასასრულს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (UN OHCHR) უფროსმა მრჩეველმა სამხრეთ კავკასიაში, ვლადიმერ შკოლნიკოვმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. ხოლო კომიტეტის თავმჯდომარემ, **ნიკო თათულაშვილმა** მადლობა გადაუხადა დამსწრეებს, უწყებების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველის წარმომადგენელს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს თანამონაწილეობისთვის და გამოთქმული მოსაზრებებისთვის. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა განგრძობად, აქტიურ და ეფექტურ ხასიათს მიიღებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა

3 დეკემბერი, 2021 წელი

**დღის წესრიგი**

11:30 – 12:00 ყავა/ ჩაი, მონაწილეთა რეგისტრაცია

12:00 – 12:20 **ღონისძიების გახსნა / მისასალმებელი სიტყვა**

**მოდერატორი: ნიკო თათულაშვილი** - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარე

**ირაკლი ღარიბაშვილი** - საქართველოს პრემიერ-მინისტრი (TBC)

**მიხეილ სარჯველაძე** - საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**რატი იონათამიშვილი** - საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**კარლ ჰარცელი** - ევროკავშირის ელჩი საქართველოში

**საბინე მახლი** - გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში

**ნიკ ბერესფორდი** - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელი საქართველოში

12:20 –12:30 **შშმ პირთა სოციალური მომსახურებების განვითარება - მიღწევები და გამოწვევები**

**თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

12:30 – 12:40 **მუნიციპალიტეტების ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმართულებით**

**მზია გიორგობიანი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე

12:40 –12:50 **ინკლუზიური განათლება საქართველოში**

**ეკატერინე დგებუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე

12:50-13:00 **ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკის შესახებ**

**პაატა შავიშვილი** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორის მოადგილე

13:00 –13:10 **გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UN CRPD) განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი**

**ნინო ვალიკოვი** - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

13:10 – 13:20 **საკოორდინაციო კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს შექმნის პროცესი**

**გულიკო მაჭარაშვილი** - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი

13:20 – 13:50 **დისკუსია და კითხვა პასუხი**

13:50 – 13:55 **დახურვის სიტყვა**

**ვლადიმირ შკოლნიკოვი** - გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (UN OHCHR) უფროსი მრჩეველი სამხრეთ კავკასიაში

13:55 – 14:00 **კომიტეტის სხდომის დახურვა**

## დანართი N2 - დამსწრე პირთა სია

| სახელმწიფო უწყება | დამსწრე პირი |
|---|---|
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში | ნიკო თათულაშვილი |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | მზია გიორგობიანი |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  სამინისტრო | ნინო ენუქიძე |
| საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ოთარ შამუგია |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | ეკატერინე დგებუაძე |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ალექსანდრე დარახველიძე |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | ვალერი (ბუბა) ლომუაშვილი |
| შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | ლია გიგაური |
| საჯარო სამსახურის ბიურო | ეკატერინე ქარდავა |
| სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | პაატა შავიშვილი |
| სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური | რაჟდენ კუპრაშვილი |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | სიმონ პეტრიდისი |
| საქართველოს უზენაესი სასამართლო | ქეთევან ცინცაძე |
| საქართველოს გენერალური პროკურატურა | ნათია მერებაშვილი |
| საქართველოს პარლამენტი | მიხეილ სარჯველაძე |
| საქართველოს პარლამენტი | რატი იონათამიშვილი |

| | |
|---|---|
| საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია | ნათია კუკულაძე |
| საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისია | დიმიტრი ჯავახაძე |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | ნინო ვალიკოვი |
| სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური | სოფიო ჯიაძე |
| მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო | მაკა ფერაძე |